საიდ. №71049/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №34-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ე. ე. (თავმჯდომარე), გ. დ., დ. ჭიჭინაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ეზგი ჩამაშირლარი ვე თექსთილ ინშაათ სანაი ვე თიჯარეთ ლიმიტიდ შირკეთი”-მ (EZGİ ÇAMAŞIRLARI VE TEKSTİL İNŞAAT SANAYİ VE TİCARET LİMİTED ŞİRKETİ) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №34-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 25 ნოემბრის №1662/03 ბრძანების ბათილად ცნობა, რომლითაც შპს „ელიფ ტექსტილი”-ის სახელზე დარეგისტრირდა საქართველოში სასაქონლო ნიშანი „BİZİM YILDIZ çamaşirlari” (საიდ. №71049/03) 25-ე და 35-ე კლასის საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვლისათვის (25-ე და 35-ე კლასი).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, შესაგებელი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია „თაიმ ინკ” არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, თურქულ კომპანია „ეზგი ჩამაშირლარი ვე თექსთილ ინშაათ სანაი ვე თიჯარეთ ლიმითიდ შირქეთი“–ს იმავე 25–ე კლასში გააჩნია თურქეთში რეგისტრირებული იდენტური ჟღერადობის და აღრევამდე მსგავსი სიტყვიერი სასაქონლო ნიშანი “BIZIM YILDIZ”, იმავდროულად იგი არის აღნიშნული საქონლის მწარმოებელი და ახდენს ამ საქონლის ექსპორტს საქართველოში. აპელანტის განმარტებით, მან თავისი სასაქონლო ნიშანი 2013–06–13 საქართველოში დასარეგისტრირებლად შემოიტანა განაცხადით №072662. თურქეთის მოქალაქე ალი გოჯენის მიერ დაარსებული ქართული კომპანია შპს „ელიფ ტექსტილი“ არის აღნიშნული საქონლით მოვაჭრე კომპანია და მან განიზრახა მიითვისოს აღნიშნულ სასაქონლო ნიშანზე უფლებები, დაასწრო აპელანტ კომპანიას და „საქპატენტში“ 2013–02–25 დასარეგისტრირებლად შემოიტანა აღნიშნული ნიშანი განაცხადით №071049. აღნიშნულის შედეგად „საქპატენტი“ ნიშანთა და საქონლის მსგავსების გამო ვერ დაარეგისტრირებს აპელანტის კუთვნილ ნიშანს, იმავდროულად რეგისტრირებული ნიშნის რეგისტრაციის შედეგად საფრთხე ექმნება აპელანტის ინტერესებს საქართველოში თავისი საქონლის ექსპორტთან დაკავშირებით, რადგან ის შეიძლება იძულებული გახდეს ექსკლუზიურად მხოლოდ რეგისტრირებული ნიშნის მფლობელთან იქონიოს საქმე, წინააღმდეგ შემთხვევაში სადავო ნიშნის მფლობელს შეუძლია საზღვარზე შეუჩეროს მას საქონელი ან უკვე შემოტანილი აღნიშნული ნიშნით ნიშანდებული საქონელი დაბლოკოს ქართულ ბაზარზე. აპელანტის მითითებით, „საქპატენტმა“ გამოიტანა გადაწყვეტილება სადავო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ და 10.12.2013წ. და გამოაქვეყნა იგი ბიულეტენში №23, აშკარაა რეგისტრირებული ნიშნის მფლობელის მცდელობა რეგისტრაციის შედეგად მიითვისოს უფლებები სხვის (აპელანტის) ცნობილ და კარგი რეპუტაციის მქონე ნიშანზე, რაც მას საშუალებას მისცემს ივაჭროს აღნიშნული საქონლით მონოპოლურად და აუკრძალოს თავის გარდა სხვა პირებს ამ ნიშნით ნიშანდებული საქონლის როგორც შემოტანა, ისე ვაჭრობა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 25 ნოემბრის №1662/03 ბრძანების ბათილად ცნობას, რომლითაც შპს „ელიფ

ტექსტილი”-ის სახელზე დარეგისტრირდა საქართველოში სასაქონლო ნიშანი „BİZİM YILDIZ çamaşirlari” (საიდ. №71049/03) 25-ე და 35-ე კლასის საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვლისათვის

მოწინააღმდეგე მხარე შპს „ელიფ ტექსტილი” არ ეთანხმება სააპელაციო საჩივარს შემდეგი გარემოებების გამო:

მოწინააღმდეგე მხარის განმარტებით, არ არსებობს ნიშნის რეგისტრაციაზე ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველი, რადგან აპელანტი რა ნიშანსაც მიუთითებს რგისტრაციის გაუქმების საფუძვლად იგი არ არის რეგისტრირებული და ექსპერტიზის სტადიაზეა. შესაბამისად, ვინაიდან არ არსებობს უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი შესაბამისად, არ არსებობს რეგისტრაციის გაუქმების საფუძველიც. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოწინააღმდეგე მხარე ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 25 ნოემბრის ნიშნის რეგისტრაციის შესახებ №1662/03 ბრძანების ძალაში დატოვებას და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

კოლეგიამ განიხილა მხარეთა არგუმენტაცია, შესაგებელი, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა”.

კოლეგია ვერ გაიზიარებს აპელანტის პოზიციას და მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი, რადგან აპელანტის მიერ მითითებული სასაქონლო ნიშანი არ არის საქპატენტში რეგისტრირებული და იგი იმყოფება არსობრივი ექსპერტიზის სტადიაზე, შესაბამისად მსჯელობა ნიშნების

მსგავსებასთან დაკავშირებით არ არის მიზანშეწონილი. ამასთან, სააპელაციო პალატის კოლეგია განმარტავს, რომ „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად: „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას ბათილად ცნობს სასამართლო მესამე პირის მოთხოვნით, თუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოხდა არაკეთილსინდისიერად". აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატა უფლებამოსილი არ არის იმსჯელოს ნიშნის არაკეთილსინდისიერად რეგისტრაციის ფაქტზე, რადგან აღნიშნული განეკუთვნება სასამართლოს კომპეტენციას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს და სასაქონლო ნიშნის „BİZİM YILDIZ çamaşirlari" (საიდ. №71049/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ეზგი ჩამაშირლარი ვე თექსთილ ინშაათ სანაი ვე თიჯარეთ ლიმიტიდ შირკეთი"-ის (EZGİ ÇAMAŞIRLARI VE TEKSTİL İNŞAAT SANAYİ VE TİCARET LİMİTED ŞİRKETİ) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 25 ნოემბრის №1662/03 ბრძანება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის

შესახებ.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:	ე. ე.
წევრები:	გ. დ.
	დ. ჭიჭინაძე